(გაითვალისწინეთ, რომ ქართული თარგმანი მოცემულია მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისთვის და არ გააჩნია იურიდიული ძალა)

მე უფლებამოსილებას ვანიჭებ ჩემს ბროკერს და/ან საკლირინგო კომპანიას, განაცხადის წარდგენის დროს მოიპოვოს მოხსენება მომხმარებლის მდგომარეობის შესახებ, რათა დაადასტუროს ჩემი კრედიტუნარიანობა და მოიპოვოს მოხსენება მომხმარებლის მდგომარეობის შესახებ ნებისმიერი დადასტურებული ანგარიშის დროდადრო განახლების, დამატების ან შეგროვების აქტივობებისთვის. ჩემი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ჩემი ბროკერი და/ან საკლირინგო კომპანია მაცნობებს, მოიპოვა თუ არა მოხსენება და თუ მოიპოვა, მაცნობებს მომხმარებლის შესახებ მოხსენების გამცემი სააგენტოს სახელსა და მისამართს, რომელმაც გასცა ის. იმ შემთხვევაში, თუ საკლირინგო კომპანია ჩემს ანგარიშს უარყოფს მომხმარებლის მდგომარეობის შესახებ მოხსენების გადამოწმების შედეგად, მე უფლებამოსილებას ვანიჭებ საკლირინგო კომპანიას, აცნობოს ჩემს ბროკერს ასეთი უარყოფის მიზეზი (მიზეზები).

W-8BEN (არა აშშ-ის მოქალაქეები)

ცრუ მონაცემების წარმოდგენისთვის სასჯელის გათვითცნობიერებით, ვაცხადებ, რომ მე შევამოწმე ამ ფორმაში ასახული ინფორმაცია და ჩემი საუკეთესო ცოდნითა და რწმენით, ის არის უტყუარი, სწორი და სრული. ცრუ მონაცემების წარმოდგენისთვის სასჯელის გათვითცნობიერებით, მე ასევე ვადასტურებ, რომ:

- მე ვარ ინდივიდი, რომელიც არის ყველა იმ შემოსავლის ბენეფიციარი მესაკუთრე (ან უფლებამოსილი ვარ, ხელი მოვაწერო იმ ინდივიდის ნაცვლად, ვინც არის ბენეფიციარი მესაკუთრე), რომელსაც ეს ფორმა ეხება ან ვიყენებ ამ ფორმას იმისთვის, რომ დავრეგისტრირდე როგორც ინდივიდი, რომელიც არის მესაკუთრე ან ანგარიშის მფლობელი უცხოურ ფინანსურ ინსტიტუტში.
- ამ ფორმის 1-ლ ხაზზე დასახელებული პირი არ არის აშშ-ის პირი,
- შემოსავალი, რასაც ეს ფორმა ეხება:
  ა) არ არის ეფექტიანად დაკავშირებული ვაჭრობის ან ბიზნესის წარმოებასთან შეერთებულ შტატებში,
  ბ) არის ეფექტიანად დაკავშირებული, მაგრამ არ ექვემდებარება დაბეგვრას საშემოსავლო გადასახადის შესახებ მოქმედი შეთანხმების შესაბამისად, ან
  გ) არის პარტნიორობის ეფექტიანად დაკავშირებული შემოსავლის პარტნიორის წილი.
- ამ ფორმაში დასახელებული პირი არის ფორმაში ჩამოთვლილი შეთანხმების ქვეყნის რეზიდენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ მნიშვნელობით, რომელიც მოცემულია შეერთებულ შტატებსა და ამ ქვეყანას შორის გაფორმებულ საშემოსავლო გადასახადის შესახებ შეთანხმებაში, და

- საბროკერო ტრანზაქციების ან ბარტერული გაცვლების შემთხვევაში, ბენეფიციარი მესაკუთრე არის გათავისუფლებული უცხო ქვეყნის პირი, როგორც ეს განსაზღვრულია ინსტრუქციებში.

გარდა ამისა, მე ვიძლევი ნებართვას, წარედგინოს ეს ფორმა გადასახადების დაქვითვის ნებისმიერ აგენტს, რომელიც აკონტროლებს, იღებს, ან მეურვეობას უწევს იმ შემოსავალს, რომლის ბენეფიციარი მესაკუთრეც ვარ, ანდა გადასახადების დაქვითვის ნებისმიერ აგენტს, რომელსაც შეუძლია მოახდინოს იმ შემოსავლის ჩარიცხვა ან გადახდა, რომლის ბენეფიციარი მესაკუთრე ვარ. თანახმა ვარ, 30 დღის განმავლობაში წარმოვადგინო ახალი ფორმა, თუ ამ ფორმაში წარმოდგენილი რომელიმე დადასტურება გახდება არასწორი.

აშშ-ის საგადასახადო სამსახური არ საჭიროებს თქვენს თანხმობას ამ დოკუმენტის რომელიმე დებულებაზე, გარდა დადასტურებებისა, რომლებიც საჭიროა თქვენი როგორც არა აშშ-ის მოქალაქის სტატუსის დასადგენად და, სადაც შესაფერისია, გადასახადის დაქვითვის შემცირებული განაკვეთის მოსაპოვებლად.